№ 176
1877

# ივერია

№ 176
1903

აგვისტოს 19, სამშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

აგვისტოს 19, სამშაბათი 1903 წ.

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგან „ივერია" აღარ ეგზავნება.

პირველ აგვისტოდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია"

ჰღირს 5 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის" ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

## ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის პირდაპირ მშვენიერი საგარაკო ადგილები

### „სანხეიმო"

თვისის მდებარეობით და ჰავით ჰსჯობია ყველა საგარაკო ადგილებს, დასარწმუნებლად ვსთხოვ მყიდველებს ინახულონ ადგილობრივ.

მამული მდებარეობს შოსის გზის პირად. შიგ მამულში გაყვანილია ფართო გზები, მოაგარაკეთა სასეირნოდ დატოვებულია ორი მოზდილი „პარკი" ფიჭვისა და მუხისა, პირობების გასაგებად შეიძლება მიჰმართოთ:

**სურამში:** კნეინა ევა გიორგის ასულს ჩხეიძისას.

**ტფილისში:** „ივერიის" რედაქციის კანტორას და ნოტარიუსს მღებროვის კანტორაში ერევნის მოედანი, სახლი № 2. (30—15).

ქალაქი იურევი, ლიფლიანდიის გუბერნიაში

## ვაჟთა კერძო სასწავლებელი პირველის ხარისხისა

### გუგონ ტრეფნერისა

მოსამზადებელის კლასითა და პანსიონით

ამზადებს მოსწავლეთ საშუალო სასწავლებლის დამთავრების ატესტატის მისაღებად და სხვა მაღალ, საშუალო და სამხედრო სასწავლებლებში შესასვლელად. მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დროს, სწავლა დაწყებულიც რომ იყოს. ხნოვანობა ხელს არ უშლის სასწავლებელში შესვლას. ნახევარ წლის ფასი სწავლისა პანსიონში შენახვით 110 მანათია. ძმანი ნაკლებს იხდიან. სწავლა იწყება 18 აგვისტოს 1903 წ. თხოვნები ქაღალდით თუ პირადად ყოველ დროს მიიღება. დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება ამ ადრესით: г. Юрьевъ (Лифл. губ.) въ собственномъ домѣ, по конной улицѣ, № 2. გუგონ ტრეფნერი—Гугонъ Трефнеръ. (1—183—1)

## ჟირარდის მანუფაქტურების საქს. საწ. საწყობი

სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა

მრავლად მიღებულია საზაფხულო სზონისათვის

**საქალო მატერიები:** ბატისტი, სატინა, მუსლინი, კრისტა, ლინი, არჟუან ტინი, მერველიე, ბრომე, ბროდე ზოლიანი, პლიუმტი, ლევანტინ-ფულიარი, ფერადი ტილო.

**საკიტელო მატერიები:** კოლომენკა, რაგოზა, ეშმაკის ტყავი-მოლესკინი, პარუსინა გიმნაზიელთა ბლუზებისათვის.

**საფარდეგო ტილო და ტიკი ფარდებისა და მარკიზებისათვის**

**საბანაო ზეწრები,** ხალათები და სხვა კუთვნილებანი

ნიმუშები უფასოდ ეგზავნებათ მსურველთ.

### დონნერი და ლეიტცი.

(100—67)

## საბუღალტერო კლასები

### ი. ი. ბრონ-ფონ-ბრენერისა

მიხეილის პროსპექტი № 161.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბერს და ნახევარს წლიწადს გასტანს. მასწავლებელთა კრებული საუკეთესო სპეციალისტებისაგან შესდგება. კლასებთან სავაჭრო მუზეუმი, ბიბლიოთეკა და ბიურო არის. პროგრამა ს.-პეტერბურგის კურსებისა. საგანგებო ლექციები იქნება სავაჭრო საქონლის მეტყველებისა, კომერციულ ეკონომიისა, საგანგებო ანგარიშებისა: ბანკისა, რკინის გზისა, სახელმწიფო ხაზინისა, სახაზინო სასმელთა ვაჭრობისა, ფაბრიკისა და სხვ. თხოვნები მიიღება 10 სექტემბრამდე კლასების კანცელარიაში, მიხეილის პროსპექტზე, № 161, დილის 9 საათიდან 1-მდე და საღამოს 5 საათიდან 8-მდე

დამაარსებელი კლასებისა ი. ბრონ-ფონ-ბრენერი. (15—6)

**გამოცდილი ქართველი მასწავლებელი ქალი,** რომელმაც კარგად იცის რუსულ-ფრანგული ენა, ამზადებს ორთავე სქესის ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის, ორ კლასამდე, ხელ მისაწვდომ ფასად. იყკანს აგრეთვე შესანახდაც.

ადრესი: რეუტოვის ქუჩა, სახლი არღუთინსკისა № 6 იკითხეთ ეზოში მასწავლებელი ქალი. (10 6—1)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

### წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ 14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

### რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით. 162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

## ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.**

თანხმად 1895 წელს 25-ს მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო რჩევის დადგენილებისა შესახებ იმისა, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელთ დაუბრუნდეს ის ფული, რომელიც მათ ბანკის დასაარსებლად შეუტანიათ, და აგრეთვე 1900 წლის 8 მაისს ფინანსთა მინისტრის პირ დამტკიცებულ წესების მე-7ე მუხლის ძალით,—ტფილისის გუბერნიის ვთაა-დაზნაურთა წინამძღოლი ამით აცხადებს, რომ ვისაც აქვს თავადის იოსებ ზაქარიას ძის ანდრონიკაშვილის მიერ გადაცემული კვიტანცია შესაბამის წარწერით ოთხას ოთხმოც და უთის მანათისა (485 მან.), ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შეტანილისა. ვალდებულია, ეს კვიტანცია წარმოუდგინოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდგან; წინააღმდეგს შემთხვევაში იგი სამუდამოდ დაჰკარგავს ფულის მიღების უფლებას ამ კვიტანციით და გადასაცემ წარწერით და ეს ფული ზემოდ დასახელებულ თავად ანდრონიკაშვილის საკუთრებად ჩაეთვლება.

## კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

**ვ. ი. ჯიჯინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდან 10 საათამდე.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის

**ა. გ. მაღალაშვილი.** შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

**ბრ. ვ. სობოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთანდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირდღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ლ. ვ. ბარტოლდი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 8½—8 ს.

**ს. ტ. აჯვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

## ტფილისი

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ა. ს. ერმოლოვი 13 აგვისტოს ნოვოროსიისკში ჩასულა და იმავე დღეს სოჭისაკენ წამოსულა. გაგრაში მინისტრი დაესწრობა მცენარეულობის გამოფენის დაწყებას.

მამა ნაჰაპეტიანს, რომელიც აქაურ ქართველ კათოლიკეთა ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიაში არის მღვდლად სომხის კათოლიკეთათვის, ვენეციაში დაუბეჭდია იტალიურად თხზულება, ვითომ-და საწინააღმდეგოდ მამა მიქელ თამარაშვილის „ქართველთა შორის კათოლიკობის ისტორიისა". ამ წიგნის ბიბლიოგრაფია თავის დროზე იქნება დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში.

ჩვენ გვატყობინებენ, რომ სამშაბათს, 12 აგვისტოს, გარდახდილ იქმნა წლის წირვა და პანაშვიდი ხირსის მონასტერში მღვდელ-მონაზონის ტარასის მიერ ავ. ცაგარლის სულის მოსახსენებლად. გალობდნენ მონასტრისავე მორჩილნი.

ქალაქის გამგეობა დაეკითხა ტფილისის გიმნაზიების დირექტორებს, რავდენი ვაკანსია არის თავისუფალი აბესალომოვის სახელზე დაარსებულ 14 ვაკანსიიდგან, რომ ახალი სტიპენდიები მივცეთ გიმნაზიებში მოსწავლეთაო.

ყველა სასწავლებლების მოსწავლეთა აღმზრდელებსა და მათ თანაშემწეებს ნაბრძანები აქვთ, უკეთუ საღამოს ცხრა საათის შემდეგ შენიშნონ მოსწავლენი გასართიაბ ადგილებში, თუმცა აქვე ნათესავები და მშობლები ჰყავდეთ, მაშინადვე უბრძანონ, რომ ეს ადგილი მიატოვონ და წავიდნენ.

საექიმო უწყების გამგეობამ კავკასიაში შეიმუშავა პროექტი, როგორ უნდა მოეწყოს სოფლად ექიმობის საქმე. პროექტი უკვე წარედგინა სათანადო მთავრობას და მისი განხორციელება 1 იანვრიდგან უნდა დაიწყონ.

ტფილისის ოლქის სასამართლომ 16 აგვისტოს მიიღო ერთი საქმე. პასუხის გებაში მიცემულნი არიან მუშები: ჟდანოვი, მეგრელიშვილი და სხვანი, 15 კაცამდე, რომელთაც ხაშურის სადგურზე მომხდარ არეულობაში მონაწილეობის მიღება ჰბრალდებათ. ამ საქმეს ოლქის სასამართლო განიხილავს სეკდემბრის შუა რიცხვებში ხალხის დაუსწრებლად.

გიორგი ტუსიშვილის მკვლელობის გამოძიება ტფილისის მაზრის უფროსის თანაშემწემ გუგუშვილმა უკვე დაასრულა. პასუხის გებაში აძლევენ მოკლულის ძმას თავ. პავლე ტუსიშვილს. გაჩხრეკის დროს პავლეს აღმოაჩნდა სისხლიანი ახალუხი და მარცხენა ხელზე პატარა ჭრილობა.

15 აგვისტოს, მცხეთის სადგურზე, სახალხო მატარებელი, რომელიც ტფილისიდან გაქანებული მიდიოდა, კინაღამ საქონლის ვაგონებს დაეჯახა. შეკრებილმა ხალხმა ხელსახოცების ქნევითა და ყიჟინით ძლივს ანიშნეს მემანქანეს, რომ მატარებელი გაეჩერებინა.

ფოსტა ტელეგრაფის მთავარი გამგეობა ჰფიქრობს, იმ ადგილებში, სადაც რკინის გზები არ არის, ფოსტის გადასაზიდად ავტომობილები შემოიღოს. ხსენებული გამგეობა შეეკითხა კიდეც ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსებს, სად არის საჭირო ავტომობილების შემოღებაო.

პეტერბურგში არსდება ახალი საზოგადოება. ეს საზოგადოება შეისწავლის რუსეთში მცხოვრებ ერთა (არა რუსთა) სარწმუნოებას და ყოფა-ცხოვრებას. საზოგადოება თავის განყოფილებას, სხვათა შორის, ტფილისშიაც დააარსებს.

21 აგვისტოსთვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში, სხვათა შორის, განსახილველად დანიშნულია საქმე შორაპნის მაზრის მცხოვრებ ნესტორ ქურციკიძისა და სხვათა, რომელთაც ყაჩაღობა ჰბრალდებათ.

გუშინ, შუადღისას, ივანე ბოზარჯიანცს შეუვარდა თამბაქოს მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე, ნიკოლოზ სააკოვი და რევოლვერი ორჯელ ესროლა. ბოზარჯიანცი, დანახვის უმალვე, დაზგას ამოჰფარებია და ტყვია ასცდენია; ხოლო მეორედ ნასროლი მოხვედრია ხელში

ბოზარჯიანცის კომისიონერს დღეთ კა-რეულს. ნიკოლოზ საიაჯი ნორად ყოფილა ბოზარჯიანცთან და ამ რამდენიმე კვირის წინად დაუთხოვია ადგილიდან. როგორც ამბობენ, საიაჯი სხვა ადგილას დამდგარა, მაგრამ იქაც ბოზარჯიანცს უმტრია თურმე და საიაჯი უადგილოდ დარჩენილა. ამის გამო გადაუწყვეტია ბოზარჯიანცი მოეკლა. საიაჯი შეიპყრეს. გამოძიება სწარმოებს.

[illegible] საკვირველი მუსიკოსი ყმაწვილი [illegible] ტფილისში — [illegible], რომელიც ამ ჟამად მეცხრე წელიწადშია დგას. დაბადებულა 25 იანვარს 1895 წ. პირველ სამი წლიწადს [illegible] ყოფილა, [illegible] თვალზე ლიბრი ჰქონია. [illegible] ეს ყმაწვილი [illegible] სამი-ოთხის წლის [illegible] — ამას [illegible]

ამას გარდა, ერთხელ რამე ლექსი ან მოთხრობა რომ წაიკითხოს [illegible]

ამათ გარდა მუსიკის საუცხოო ნიჭი აქვს. [illegible]

# ფელეტონი

**მომღერალს.**

ნუ... ნუ ვიცხავ, რომ ცხოვრებამ
თავის კვალი დამჩნია,
[illegible]
[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

და უცხოვლად გატყდა გული?!

---

და უმღერებდა. ვინ ვაშლს მისცემდა, ვინ ფორთოხალსა, ტკბილეულს და სხვ. ცეკვაც კარგად იცის: ყმაწვილი მეტისმეტი ცნობის მოყვარეა და, თუ ახალ ამბავს ყური მოჰკრა, მანამ ძირიან-ბუდიანად არ გამოიკვლევს, არ მოგეშვებათ.

# ჩვენებური ამბები

**დ. სახხერე.** 26 ივლისს საყასბოს თაობაზე ამხანაგობის კრება მოხდა, რომელმაც მოიჯარადრე აირჩია. მოიჯარადრემ უნდა ჰკლას ხელის მომწერლებთათვის ძროხა, თხა, ცხვარი და სხვა საქონელი და აძლიოს ამ ფასად: პირველი ხარისხის ხორცი გირვანქა 11 კაპ. მეორე ხარისხისა 7 კაპ. და მესამესი — 6 კაპ, აგრეთვე მას უნდა ჰქონდეს შუშაბანდიანი კიდობანი, რომ ხორცი შეინახოს. მოიჯარადრემ უნდა იქონიოს წიგნი, რომელშიაც ამხანაგობის წევრნი საჩივარს ჩასწერენ. ყოველ უმართებულო საქციელისათვის მოიჯარადრეს გადახდება ამხანაგობის სასარგებლოდ თითო თუმანი.

ი. ათინაშვილი

**ქ. ოზურგეთი.** რადგან ამ ბოლოს დროს ძლიერ გახშირდა ოზურგეთში: ქურდობა და ცარცვა-გლეჯა და არა ღონისძიებით არ იქმნა მისი მოსპობა, ადგილობრივმა მთავრობამ, მშვიდობიანობის დასაცველად, შემდეგი წესი შემოიღო: მცხოვრებლებმა უნდა იყოლიონ დარაჯები, ყველა ქუჩაზე ორი დარაჯი. უკეთუ ოჯახში არის ისეთი საიმედო კაცი, უნდა გამოვიდეს სადარაჯოდ. იმ ოჯახმა, რომელ ოჯახშიაც არ მოიპოვება ასეთი წევრი, ფული უნდა იხადოს დარაჯის დასაჯილდოვებლად. რადგან მცხოვრებთა მორიგეობით დარაჯობა, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, არ მოხერხდა, ეხლა თითქმის ყველა ქუჩებში დაქირავებული დარაჯებია. ყველა ქუჩის დარაჯებს თითო უფროსი ზედამხედველი ჰყავს, მცხოვრებთა შორის პოლიციის მიერ არჩეული, რომელიც მოვალეა ყოველივე, რაც მოხდება, პოლიციას მოახსენოს: ვინ ვისას მივა, ვინ სად წავა, რას მოიტანს, რას წაიღებს და სხვა.

**ქ. ოზურგეთი.** კავკასიის მსროლელთა მეშვიდე ბატალიონი, რომელიც ოზურგეთში იმყოფებოდა, უმაღლესის მთავრობის განკარგულებით, გადაყვანილ იქმნა ქ. ერევანში, რამაც დიდად დაამწუხრა ოზურგეთის მცხოვრებნი და თითქმის მთელი გურია. მწუხარების მიზეზი აი რა არის: რუს-ოსმალოს უკანასკნელ ომში გურულებისაგან შემდგარმა მილიციამ დიდი სიმამაცე გამოიჩინა და თავ-ზარი დასცა ოსმალებს. უმაღლესმა მთავრობამ უბოძა გურიის ჯარს წმ. გიორგის დროშა, ზედ წარწერით: „За отличіе гурійской пѣхотной дружины во время русско-турецкой войны 1877—78 г.г.“. შემდეგ ამ დროშის ქვეშ შესდგა მუდმივი ჯარი, რომელსაც ეწოდა **3 туземная стрѣлковая дружина.** მხოლოდ ამ სამი-ოთხის წლის წინად ის დრუჟინა ბატალიონად გადაკეთდა და ამ დღიდგან თუ დრუჟინაში ორი წილი გურული იყო, ბატალიონში მეათედიც აღარ ითვლება, შერჩათ მხოლოდ გურული ტანთ-საცმელი „ჩაქურა“, რომელსაც დღესაც ატარებენ. თუმცა გურულები აღარ იყვნენ ამ ჯარში, მაგრამ, როგორც წინად, ეხლაც ყველა „ჩვენ ჯარს“ ეძახოდა, რადგან გურულების მიერ ჯილდოდ აღებული დროშა ბატალიონს ებოძა. ბევრი თხოვნა მიართვა გურიის თავად-აზნაურობამ უმაღლეს მთავრობას: ამ ჯარს ნუ გადაიყვანთ გურიიდანო, მაგრამ მაინც კადაიყვანეს და თან გაატანეს გურულებისაგან თავ-განწირვითა და სისხლის ღვრით დამსახურებული დროშა.

13 აგვისტოს ოზურგეთის მცხოვრებლებმა ჯარს სადილი გაუმართეს და სახსოვრად მიართვეს წმ. გიორგის ძვირფასი ხატი.

იმ ჯარის მაგიერ ოზურგეთში გადმოყვანილ იქმნა „არტაანის პოლკის“ ორი „როტა“.

მ. მხიარულიძე.

**ქ. თელავში** შემდეგი უწესოება მოხდა: ზემო ბაზარზე ერთი სოფლელი სიმღერით მიდენილიყო, მთვრალი ყოფილა. თუმცა სიმღერით ქუჩებზედ სიარული აკრძალულია, მაგრამ რაკი კახელი კაცი დაითვრება, წინ ვეღარა დაუდგება რა. რასაკვირველია, პოლიცელნი ამისთანა საქციელს არ მოუწონებდნენ და ამიტომ მისი გაჩუმება მოეწადინებინათ, მაგრამ ის არ დამორჩილებოდა. პოლიციელს დაეჭირნა და სასეირნო ბაღის წინ გამოატარეს დასამწყვდევად. დაჭერილი სცდილობდა როგორმე განთავისუფლებულიყო, მაგრამ შეკავებული ექვს პოლიციელთან აბა რას გახდებოდა. უკან ორი მოხელე მოსდევდა და ხალხს, რომელიც ამ ალიაქოთზე ასდევნებოდა, ეუბნებოდა, დაიშალენითო. ამ გვარად მიაღწიეს პოლიციას. ეხლა კი ვეღარ მოითმინა დაჭერილმა, რადგანაც დაინახა, რომ უნდა დაემწყვდიათ. ძალი და ღონე მოიკრიბა, გაიწია და გაიქცა. რაკი თავი გაინთავისუფლა, ერთი „ურა“ შემოსძახა და თავს უშველა. მთელი ხალხი თან აჰყვა და „ურას“ ძახილით ღვთის მშობლის ეკკლესიამდე მიაცილა. სოფლელი თავის გზაზე წავიდა, ხალხი კი დაიშალა.

გურჯი.

**სურამი.** გლეხ-კაცი ადამიანია, ნება აქვს წარმოდგენაზედ დაესწროს თუ აქვს ისეთივე ბილეთი, როგორც სხვას — ეს ყველამ ვიცით, ამის წინააღმდეგ ვერც ერთი ჭკვათა მყოფელი კრინტს ვერ დასძრავს. არ სცოდნია ეს უბრალო ჭეშმარიტება მხოლოდ ერთს ქართველს, რომელიც 15 აგვისტოს დირიჟორობდა ევროპიულ ცეკვის დროს ჯანოევის პარკში. აი რა მოიქმედა ამ განათლებულმა: უცებ მიანება თავი დირიჟორობას და გაექანა ერთ კუთხისაკენ, სადაც იდგა ერთი გლეხკაცი, ეს საბრალო და ყოვლად პატიოსანი მუშაკი, რომელიც წყნარად იდგა და უყურებდა ცეკვას.

— შენ აქედგან გადი, — ასე მიმართა გლეხკაცს.

— რად უნდა გავიდეს, თავისთვის ჭკვიანად არის, არავის არაფერს უშავებს და ბილეთიც აქვს აღებული, — შენიშნა იქავე მდგომმა ინტელიგენტმა.

— არა, არ შეიძლება მაგისი აქ ყოფნა, მაგის ადგილი აქ არ არის, — სთქვა დირიჟორმა ისეთის კილოთი, თითქოს ისეთს სიმართლეს ამობს, რომლის წინააღმდეგაც კრინტის დაძვრაც კი არ შეიძლებაო.

— ეგ კაცია, ადამიანი, და მაშასადამე, შეუძლიან დაესწროს ცეკვაზე, — განაგრძო ინტელიგენტმა.

დირიჟორმა შეხედა გლეხ-კაცს, თითქოს ძალიან გაუკვირდა, გლეხის ჩოხაში ადამიანი როგორ არის გახვეულიო, და შემდეგ უთხრა:

— ჰო, ვიცი ადამიანია, მხეცი არ არის, მაგრამ არ შეიძლება მაგისი აქ ყოფნა... ეგ კინტოა...

ამის შემდეგ თვით ინტელიგენტს დაემუქრა. მე შენთან გასწორება 24 საათში შემიძლიაო.

რასაკვირველია, გლეხ-კაცი არ იქმნა გაყვანილი თეატრიდან. გაჯავრებულმა დირიჟორმა მიანება თავი დირიჟორობას და გაიქცა კარში, საიდგანაც დიდის ხვეწნისა დი მუდარის შემდეგ შემოიყვანეს და განაგრძობინეს დირიჟორობა.

ასეთმა საქციელმა მთლად ააღელვა საზოგადოების უმეტესი ნაწილი.

ს. არდაძე

ქუთაისის ოლქის სასამართლოს წარედგინა გამოძიება შესახებ ყალბ ქაღალდების შედგენისა თავად-აზნაურობის ღირსების მაძიებელთათვის. სისხლის სამართალს ეძლევიან: თ-დი ვ. დადიანი, ს. აშორდია, ს. ბარკალაია, გ. ბოკუჩავა, თ. გეგენავა, ს. შელია, კ. შელია, მ. აშორდია, ფ. ქავთარაძე, ა. წირღვავა, ა. ადამია, დ. ჯინორიძე, ს. ჟორდანია, მ. ფოფხაძე, ა. გვიჩია, ს. გეგეჭკორი, ვ. ხორავა, ა. წულეისკირი, ნ. გეგეჭკორი, ა. სალაყაია, ი, ჩახავა, გ. სურგულაძე და ლ. ხუნდაძე. ამათ გარდა პასუხის გებაში უნდა მიეცათ 700 კაცამდე, მაგრამ გამოძიებით იმათი დანაშაულობა არ დამტკიცდა.

ს. ჰატარძეულის საზოგადოებამ ამას წინად დაადგინა გადააყენოს მამასახლისი ოთარაშვილი, რომელსაც ქურდობას და მრავალ ბოროტებას აბრალებდნენ. ამასთანავე იგივე ოთარაშვილი საეჭვო კაცთა სიაში შეიტანა 26 კაცთა შორის, რომელთა გადასახლებასა სთხოვს სოფელი სათანადო მთავრობას. ტფილისის მაზრის უფროსმა თ-დ ლ. ჯანდიერმა გამოიძია ეს საქმე და დარწმუნდა, რომ მამასახლისი ოთარაშვილი ბოროტად ხმარობდა თავის უფლებას და ქურდებს მფარველობას უწევდა. ოთარაშვილი დათხოვნილია და პასუხის გებაში მიცემული, ხოლო მამასახლისად სხვა კაცი დააყენეს.

ჰფიქრობენ ერთის ინსპექტორის დანიშვნას ოსების სკოლებისთვის ამიერ-კავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში. როგორც „ტერ. ვედ.“ გადმოგვცემს, ეს სკოლები დაექვემდებარება საეპარქიო საბჭოს არდონის განყოფილებას.

განჯის საპყრობილეში 13 აგვისტოს, როგორც „ნ. ო.“-ს სწერენ, ტუსაღებს უწესოებანი მოუხდენიათ. შეტაკების დროს დარაჯებს მოუკლავთ ერთი ტუსაღი და დაუჭრიათ რამდენიმე.

ქ. თელავში არსდება საჰკურნალო გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ხარჯს თელავის მცხოვრებნი კისრულობენ.

ყარაიაზსა და იმის მახლობლად მდებარე სოფლებში თვალის ავადმყოფობა გაჩენილა. ამ ავადმყოფობასთან საბრძოლველად იგზავნება საგუბერნიო ექიმის თანაშემწე რ. მაჭავარიანი.

**ქიზიყი** (ს. ჯუგაანი). გახურებული მუშაობა აქვთ მეთამბაქოებს; ამინდიც ხელს უწყობს, და დაუღალავად იბრძვიან დღე და ღამ, ამზადებენ თამბაქოს. მოვა ეს დრო და შეხარიან მეთამბაქოები თავიანთ ნამუშავარს, თუ კარგი მოსავალია. არ ზოგავენ არც თავიანთ თავსა და არც ხარჯს, მაგრამ ამ სახარულთან მუდამ გულშიაც დარდი აქვთ, რომ არავინ გვიმტროს და თამბაქო არ გადაგვიწვასო. სულ ფერაობა და წითელი კვერცხის გორაობა სჭირდება მეთამბაქოებს ყველასთან, როგორც მოჯამაგირეებთან ისე სხვასთან, რომ სულ ცოტა რამისთვის ცეცხლი არ მისცენ მის სარაიას. 14 აგვისტოს ღამის პირველ საათზედ ცეცხლი გაუჩნდა ს. ჯუგაანში მიხა მატიაშვილის თამბაქოს სარაიას და მთელ არემარეს, როგორც დღე, ისე ანათებდა. დაეწვა მთლად სარაია თამბაქოთი, ერთი ფიცრული სახლი, მთელი ავეჯეული და ბეღელი, რომელშიაც იყო ორი ურემი პური და სამი საცალო ფქვილი. თუმცა ხალხი მიეშველა, მაგრამ აბა რას გააწყობდა გაძლიერებულ ცეცხლთან. საწყალ მიხას მთელი წლის სარჩო-საბადებელი ერთ საათში შჩანთქა ცეცხლმან. რასაკვირველია ეჭვიც აქვს მიტანილი პატრონს, ვინ იყო ცეცხლის წამკიდებელი, მაგრამ საზოგადოდ ქიზიყში მიღებული არ გახლავთ ბოროტ-განმზრახველების გაცემა და დასჯა, არამც თუ ეჭვით, არამედ ნამდვილ საბუთებითაც-კი. მოხელენი მარტო ფორმისთვის გახლავან და ეყვედრებიან ქიზიყს.

ჩადრის-თაველი.

---

მაშ, რად გიკვირს, რომ მე ჩემს თავს დავუძახე
გარიყული.

## ბედის წერას ვერავინ ასცდება.

(გაგონილი დუშეთის მაზრაში)

ვუძღვნი პროფესორ ა. ხახანაშვილს.

იყო ერთი მეფე. მას არ ეყოლა არც ძე და არც ასული. ძალიან დაღონებული იყო, მეტი არ შეიძლებოდა. ცალკე მემკვიდრეობა ენანებოდა და ცალკე თავისი თავი, მომხსენებელი არავინ მეყოლებაო. მწუხარებას თანაუგრძნობდნენ მეფის ქვეშევრდომნიც და ყველა იმას ევედრებოდა ღმერთს, რომ შვილი გასჩენოდა მეფეს.

როცა იქნა, ისმინა ღმერთმა ვედრება და მეფეს ძე გაუჩნდა. მეფე-დედოფლისა და ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ამ სიხარულის დროს იმის გადაწყვეტა-გაგებაც მოინდომეს, თუ რა ბედისა იქნება მეფის შვილი. მოიწვიეს მეცნიერნი და ფილოსოფოსნი, რომელთაცა სთქვეს, რომ მეფის შვილი ყველაფრით ბედნიერი იქნება, მხოლოდ მეფის დანა მოჰკლავსო. ამ ამბავმა ძალიან დაალონა ყველანი, დიდი და პატარა და მეფე-დედოფალი ხომ, რაღა თქმა უნდა.

იფიქრეს და ბოლოს გადასწყვიტეს, რომ მეფის შვილი დაასახლონ მეფისაგან განცალკევებით. ააშენეს ტყეში სასახლე და იქა ზრდიდენ მეფის შვილსა. ოცდასამი წლისა რომ შეიქნა, იფიქრა, ეს რა ამბავია ჩემს თავსა, მამი ჩემისთვის რა დამიშავებია და ან კიდევაც რომ დამეშავებინოს, დანით როგორ მომკლამსო? წავიდა და მეორე მეფეს ეწვია. მეფემ დიდის სიყვარულით მიიღო და მეფის შვილმაც ყველაფერი თავის გულის პასუხი უამბო. ვახშამი რომ გაათავეს, ნესვი გასჭრეს და მიირთვეს; ის დანა, რომლითაც ნესვი გასჭრეს, შეედოთ მაღლა თაროზე სწორედ იქ, სადაც ქვეშ ძვირფას ლოგინში მეფის შვილი იწვა. იმ ღამეს ეს დანა გადმოვარდა, დაეცა მეფის შვილს გულზე და მოკლა.

ასე ასრულდა მეფის შვილის ბედისწერა.

## ბოდორნა.

ვისაც არაგვის პირზე უვლია, იმას შეუნიშნავად არ დარჩებოდა თავის ისტორიულ წარსულით და მდებარეობით შესანიშნავი ბოდორნის ციხე-ტაძარი და ვისაც კი იოსელიანის, ბაქრაძის ნაწერები და „სურამის ციხე“ წაუკითხავს, ის უთუოდ შეხვდებოდა ბოდორნას.

ბოდორნის ციხე-ტაძარი ერთ მიუვალ და მაღალ კლდეებს შუა არის აღმართული და ისე მედიდურად გადასჩერებია მთელ არაგვის ხეობას და ძალიან ლამაზთასაც აძლევს და აორკეცებს არაგვის მოთამაშე და მობიბინე ნაპირების სიმშვენიერეს. არაგვის ხეობა არის მხოლოდ ერთად-ერთი მოწმე ბოდორნაში დახოცილ მეომართა სჯულისა და სამშობლოს გულისათვის, რომელთა თავის ქალებით სავსეა ვეებერთელა სარდაფი. თუმცა დიდიხნისაა ეს ნაშთნი ძველის გმირებისა, მაგრამ ისე გამოიყურებიან, თითქო ახალი გმირები არიანო.

პირველად აშენებულია ციხე და უფრო ძველია ტაძარზე. ციხის გვერდზე ამოთხრილია დიდი ორმო, სარდაფი, რომელიც ამოვსილია კაცის ძვლებით, ნამეტურ თავებით და მერე დუღაბით არის გადაქვითკირული. ამ გადაქვითკირულზე აშენებულია პატარა, მაგრამ მაღალი და კოხტა ბოდორნის ეკკლესია მღვთისმშობლის სახელზე. ციხე-ტაძრის გარემო პატარ-პატარა გამოქვაბულები კვამლით გარუჯულია და ეტყობა ჯარი მდგარა და ცეცხლი ნთებიათ.

როდესაც თემურლენგი მოადგა ბოდორნას, მაშინ არაგვის ერისთავებმა დიდი ხალხი გაუქლიტეს აიურმე. ვერსაიდგან მიუდგა ბოდორნას. დააწვნევინა გოდრები და მაღალი კლდიდან გოდრებით უშვებდა ძირს მეომრებს, რომელთაც უხოცავდნენ ბოდორნელები და ბოლოს, რადგან ურიცხვი ჯარი ჰყავდა, აღარ მოეშვა და წყალი შეუკრა არაგვიდგან, დაიმორჩილა და სამასი მეომარი ცოცხლები ჩაჰყარა იმ ორმოში და ზედ დუღაბი დაასხა*). ამ ამოქვითკირებულ ორმოზე არის აშენებული ეს ძველი გუმბათიანი ტაძარი და ის-კი არ ვიცით, როდის და რა დროს. მხოლოდ ვიცით, რომ განახლება ამ ტაძრისა ეკუთვნის არაგვის ერისთავისშვილს მიტროფანე ნინოწმინდელს, როგორც ეს შემდეგი წარწერიდან სჩანს: „ქ. დედაო ქრისტესაო ქალწულო მარიამ, მეოხ მექმენ მე, არაგვის ერისთავის შვილს, ნინოწმინდელს მიტროფანეს და ჩემ თანამშრომელსა კობიაშვილსა სახლთ უხუცეს ქაიყუბათს, რომელთა განვაახლეთ ტაძარი შენი ბოდორნა, რომელ იყო დარღვეული ჟამთა სიგრძეთაგან. მე გარდავიცვალე ამიერ სოფლით და ქაიყუბათ სახლთ ხუცესმა სრულ ჰყო დიადის შრომითა და წარსაგებლითა. ადიდოს ღმერთმა ორსავე შინა ცხოვრებასა. ქკსა. უდ. (1716 წ.). ეს არის ამ ტაძრის განახლების დრო და თუ რომელიმე სპეციალისტი მოისურვებს ამ ტაძრის ნახვას და დათვალიერებას, იმედია, ბევრ მასალას იპოვის შიგნით, თუ გარედ. მას აქეთ არავის არაფერი არ მიუმატებია ამ ტაძრისათვის და ძალიან დაძველებულია. ზედ ხეები და დიდრონი ბალახებია ამოსული. ეხლა მიაქციეს ყურადღება და შესდგა კომიტეტი, რომელიც აპირობს ამ ძველის ნაშთის გამშვენიერებას და იმედიც აქვსთ საქმე სისრულეში მოიყვანონ, მხოლოდ მთავრობის ნებართვას მოელიან.

ითხვისელი.

*) პლატონ იოსელიანის წიგნი ამ ჟამად ხელთ არა გვაქვს. აქ ყოფილა როინაშვილი და სურათიც არის მის მიერ შედგენილ ალბომში და ინახება განსვენებულ როინაშვილის ფოტოგრაფიაში.

ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთი

ახალის ქალაქის დღეურებით პეტერბურგის ამიერქველთა რიცხვი სულ 16 ათასამდე ექნება. წინად იყო 10 ათასამდე. მოქმედი საერთო რიცხვს 6500 კაცი. მარტო ბინის დამქირავებელნი, რომელთაც ახალი წესით ბინა ეძლევა. 7634 კაცია.

— პეტერბურგში აპირობენ მოუწყონ მკერ სისულელოდ რუსეთის კრებას ქალაქის ლომბარდის წარმომადგენლებისას.

— პეტერბურგში ახალ სანაპიროს აკეთებს. უდღებით 25—30 ათასი მან. ძალიან დაამშვენებს ქალაქსო.

— შავ ზღვაზე სამ ნავმისა გემს აშენებენ ზღვის სანაოსნოების შეკვეთით. გემებს სულ რუსეთში ნაკეთებ მასალით აგებენ.

— მოსკოვთ აღმოსავლეთში პირდაპირ მიმავალ მატარებლების მიმოსვლა გამართეს ამბობენ.

— პეტერბურგში თან-და-თან თირმება ცხენის ხორცის ხმარება საქმელად. შარშან დაუკლავთ 7400 სული ცხენი ცხენის სასაკლაოში.

— ქალაქი ვოლსკი, რომელიც სარატოვის გუბერნიაში, ახალს შენობას აგებს დედათა გიმნაზიისათვის. გადაუდვია 100,000 მან.

— ტომსკის საეპარქიო სასწავლებლის შეგირდები წასულან საექსკურსიოდ თავიანთ პეპინიერებით, სულ 26-ნი, რუსეთში. მოუვლიათ მრავალი ქალაქი და დაუთვალიერებიათ მათნი ღირს შესანიშნავნი შენობანი და დაწესებულებანი. ექსკურსანტი ქალები ყველგან დიდის სიამოვნებით მიუღიათ და ბინა დაუთმიათ მუქთად. მხოლოდ მოსკოვი დახვედრია ცოტა გულ-გრილად და იქ შეგირდებს სასტუმროში გაუთევიათ რამდენიმე ღამე. თითოს დასჯდომია ეს სასარგებლო მოგზაურობა შვიდ თუმნამდე

# უცხოეთი

**ავსტრია-უნგრეთი.** უნგრეთის საპარლამენტო კრიზისს ვერც არა იმპერატორ ფრანც-იოსების მეცადინეობამ უშველა რამე. იმპერატორი სწორედ ამ აზრით დაბრუნდა ბუდაპეშტს და თითქმის ყოველ დღე ხანგრძლივი მოლაპარაკება აქვს ხოლმე უნგრეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან, მაგრამ ოპოზიციის დასი ჯერჯერობით მტკიცედ ადგია თავის გარდაწყვეტილებას. 8 აგვისტოს ფრანც-იოსებთან დარბაზად იყვნენ რეიხსტაგის ორთავე პალატის პრეზიდენტნი; გრაფი იულიუს ანდრაში და გრაფი ალექსანდრე კაროლი. იმ ცნობებმა, რომელიც იმპერატორისა და პრეზიდენტთა მოლაპარაკების შესახებ გამომჟღავნდა, მეტად დააღონა ყველანი. იმპერატორი დიდად გულნატკენია თურმე, რომ საქმე ასე გამწვავდა. პრეზიდენტებს რჩევა მიუციათ,—კრიზისის თავიდან აცილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ნაციონალისტთა დასის უმთავრესი მოთხოვნილებანი იქნება დაკმაყოფილებული და მინისტრ-პრეზიდენტად გრაფი აპონი დაინიშნებაო. მაგრამ, როგორც ეტყობა, იმპერატორი არაფრის დათმობას არ აპირობს სამხედრო საქმეებში. ჰგონებდნენ, იმპერატორი ინახულებს აგრეთვე გრაფ აპონის და ოპოზიციის სხვა მეთაურებსაცაო, მაგრამ ფრანც-იოსებმა უარ-ჰყო ეს აზრი.

ოპოზიციის წრეებში გადაჭრით აცხადებენ, თუ ჩვენი ეროვნული მოთხოვნილებანი არ იქნა დაკმაყოფილებული, ბრძოლას უკიდურესობამდე მივიყვანთო.

**ოსმალეთი.** გაზეთი «ფრ. ზეიტ.»-ის სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება, სტამბოლის უმაღლეს წრეებში ახლანდელი პოლიტიკური ვითარება ოსმალეთისა იმდენად გაჭირვებულად მიაჩნიათ, რომ რუს-ოსმალთა ომის შემდეგაც-კი არ ყოფილა ასეთი უნუგეშო მდგომარეობაო. ევროპიელი კონსულები ირწმუნებიან,— თუ ევროპის დიდი სახელმწიფონი არ ჩაერივნენ საქმეში, მაკედონიაში მშვიდობიანობისა და წესიერების აღდგენა შეუძლებელიაო. იტალიამ და საფრანგეთმა გადასწყვიტა ორის სამხედრო გემის გაგზავნა, რომელნიც მიტილენის მახლობლად უნდა დადგნენ. მოუთმენლად ელიან, რა გზას დაადგება ინგლისი, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში მეტად გულგრილად შეჰყურებს აღმოსავლეთის საქმეებსაო.

**იტალია.** როგორც გაზ. «ეხოდე პარი»-ის კორესპონდენტი იუწყება რომიდან, პაპი პიო მე-X-ს განუზრახავს მოწოდებით მიჰმართოს ყველა ეპისკოპოსებს, რათა პროტესტი განუცხადოს ოსმალთა მიერ მაკედონიაში ჩადენილ სისასტიკეთა წინააღმდეგ. ამ მოწოდების დანიშნულება ისაა, რომ ყველა კათოლიკებმა აიძულონ თავიანთი მთავრობანი, რომ ხელი გამოიღონ და შესწყვიტონ ბალკანეთის კუნძულზე საშინელი სისხლის ღვრა.

— გაზ. „ფიგაროს“ კორესპონდენტი იუწყება, რომ საფრანგეთის დესპანი ნაზარი დარბაზად ყოფილა პაპ პიუს მე-X-თან. კორესპონდენტის სიტყვით, პაპი მეტად გულმხურვალედ დახვედრია დესპანს, უბაასნია ფრანგულად, თუმცა ამ ენაზე, ცოტა არ იყოს, უჭირს ლაპარაკიო; პაპმა სიყვარულით მოიხსენია საფრანგეთი, და გულითადი სურვილი და იმედი განაცხადა, ვატიკანსა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის კვლავ აღდგენილ იქნება კეთილ-განწყობილებაო.

# თეატრი და ხელოვნება

ავლაბრის სახალხო თეატრი.

კვირას, 17 აგვისტოს, ავლაბრის სცენის მოყვარულთა დასმა გამართა წარმოდგენა. ითამაშეს: „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“, კომედია ვ. გუნიასი, და „ხორვეროზა“, ვოდევილი მისივე.

კომედიამ ერთობ სუსტად ჩაიარა. არც ერთ სცენის მოყვარულზედ არ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თავისი როლი რიგიანად აესრულებინოს. როლებიც არ იყო კარგად განაწილებული.

წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო.

კამათელი.

—

**ოზურგეთი.** აქაურმა ახალმა დრამატიულმა დასმა მეორე წარმოდგენა 12 აგვისტოს გამართა არტისტების ბ-ნ მირიანაშვილისა და ქ-ნ მდივნის მონაწილეობით. წარმოადგინეს „გულჯავარ“ და „დუელი“. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა, მხოლოდ ზოგიერთებს ცოტა როლის უცოდინარობა ეტყობოდათ. წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო.

—

პარასკევს, 15 აგვისტოს, ქ. ქუთაისის ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა მიერ, გრიგოლ ჩარკვიანის მონაწილეობით, წარმოდგენილ იქმნა „კინტო“. ბოლოს დივერტისმენტი იყო. ალმასხანას როლს ასრულებდა ბ-ნი გრიგოლ ჩარკვიანი, რომელმაც ნამდვილი იმერელი დაგვიხატა და ბოლოს „დედა და შვილი“ წაიკითხა.

ილიას როლს ასრულებდა ბ-ნი ზარდალაშვილი, სალომეს როლს—ქ-ნი ურბნელი, მაგრამ ეს როლი იმდენად არ ეხერხებოდა, როგორც „უზუნდარა“ და „კინტოური“.

დანარჩენებზე არა ითქმის-რა, რადგანაც პირველად თამაშობენ. ხალხი ცოტა დაესწრო.

# ნარევი

როგორც თეირანიდგან იუწყებიან, იქ გარდაცვლილა ქაჰრიმა, რომელიც ერთ დროს ჩვენს ქვეყანაში დანავარდობდა და თითქმის 16 წელიწადს ავაზაკობდა. მოსწყინდა ასეთი ცხოვრება, წავიდა სპარსეთს წარსდგა შაჰის ნასრ-ედდინის წინაშე, გამოუცხადა მორჩილება და აღუთქვა ავაზაკობაზედ ხელი აეღო. შაჰმა შეიწყნარა ტ თეირანში სამხედრო მინისტრთან გაამწესა. მალე სადრ-აზამის ამალის უფრ. მიიღო. ნასრ ედდინის შემდეგ გამეფებულმა მუზაფერ-ედდინმა მწყრალად დაუწყო ქცევა სადრ-აზამს, რომელმაც დაანება სამსახურს თავი და ქალაქ ყუმში დაბინავდა. ქაჰრიმას სამხედრო სამინისტრომ სხვა თანამდებობა მისცა, მაგრამ ქაჰრიმა გაჭირებაშიაც არ გაშორდა თავის უფროსა და ნაამაგევ სადრ-აზამს, სრულიად განება სამსახურს თავი და თეირანი მიატოვა.

ორის წლის შემდეგ სადრ-აზამი ისევ ძველ თანამდებობაზე მიიწვიეს. მან ქაჰრიმაც თან მოიყვანა თეირანში და ძველი ადგილი მისცა. თეირანში მან 13 წელიწადი პატიოსნურად გაატარა. საზოგადოებაში მეტად მშვიდი და ჩუმი კაცი იყო და, რომ გენახათ, ვერ წარმოიდგენდით, თუ ეს წყნარი კაცი ერთ დროს თავზარსა სცემდა ბევრ ამიერ-კავკასიელს. ქაჰრიმას 5 ძმა ჰყავდა. ოთხნი სხვა-დასხვა საქმისა გამო სპარსეთს გაიქცნენ, მეხუთეც, სულ. უმცროსი, ახ 16 წლისა, თუმცა არა დაუშავებია-რა, მაგრამ სპარსეთს წავიდა. ქაჰრიმამ ძმები სადრ-აზამთან გაამწესა სამსახურში. ჯერ ისევ ჯანითა და ღონით სავსე და არც ისე მოხუცი,—სულ 52 წლისა, ქარიმა უეცრად გარდაცვლილა თეირანში.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 აგვისტო.

**ვაშინგტონი.** ხარპუტში, დიარბექირის ვილაიეტში, უნდოდათ დაეწვათ ეფრატის სასწავლებლის შენობა, რომელიც ამერიკის მისსიას ეკუთვნის.

**ვენა.** იმპერატორი ვიდჭელში 5 სექტემბერს მოვა.

**ბუდაპეშტი.** გრაფი კუენ-ჰედერვარი ვენას გაემგზავრება, რადგან იქ ინგლისის მეფეს მოელიან.

**უდინე.** პაზიანოსა და კადროიპოს შუა საქონლის მატარებელი საქონლისას დაეჯახა. 15 კაცი მოკვდა და 60 დაშავდა.

**სტამბოლი.** სულთანის ირადე ვალების გაერთიანების შესახებ ჯერ არ გამოქვეყნებულა. ტყუილია, ვითომც სულთანს უარი განეცხადებინოს.

**პარიჟი.** ძესთან (იურეს დეპარტამენტი), გზის პირას, რუსის ქალის გვამი იპოვნეს, ქალს რევოლვერის ტყვიით ჰქონდა თავი გახვრეტილი. იქვე უპოვნიათ რევოლვერი, რომელშიაც 5 ტყვია კიდევ იყო, შავი ტყავის რედიკული და ნაცრის-ფერი პალტო, ოდესში ნაყიდი. ჰფიქრობენ, თითონ მოუკლავს თავიო.

**ბუდაპეშტი.** ჰუნგრეთის და ავსტრიის ფინანსთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ 19 აგვისტოდან დამატებითი გადასახადი, 3-ნახევარი კრონი, დაადონ იმ შაქარს, რომელიც ავსტრიასა და ჰუნგრეთში მიაქვთ და მოაქვთ.

**ტიანძინი.** ჩინელები ჰფიქრობენ აჰყიდონ ნიუჩუანის რკინის გზა, რადგან მოგების იმედი სრულებით არა აქვთ,

**ჰააგა.** თუ სამედიატორო სასამართლოს ვენეცუელის საქმის გასარჩევად 19 აგვისტომდის არ შესდგა, რუსეთის მინისტრი განაცხადებს, გარჩევა მოკლე ხნით გადაიდებაო.

**სტამბოლი.** მატარებელი „ორიო-ან ექსპრეს“-ის აფეთქება ბოლგარელებსა სდომებიათ.

**სტამბოლი.** ადრიანოპოლელ რედიფების მე-5 და მე-6 დივიზია საომრად გაამზადეს. აგრეთვე 16 ბატალიონი მე-2 ხარისხის რედიფებისა—სულ 5 დივიზია. აქაც ამზადებენ, რაც-კი საომრად აუცილებლად საჭიროა. ტყუილია, ვითომც ომისთვის დიდი მზადება იყოს.

**სტამბოლი.** ბეირუტში მომხდარ უბედურების შესახებ შიფრით დაწერილ დეპეშაში შეცდომაა: ამერიკის ვიცე-კონსული-კი არ მოჰკლეს, მხოლოდ ვიღაც უცნობმა თოფი ესროლა, მაგრამ ტყია ასცდა.

**ვაშინგტონი.** თუ ოსმალეთმა არ დააკმაყოფილა, რაც შეერთებული შტატები მოითხოვს, ესკადრას უბრძანებენ ერთი ან ორი ნავთსადგური დაიჭიროს და იქამდისეჭიროს, მანამ შტატების მოთხოვნილება არ დაკმაყოფილდება. თუ ეს მოხდა, ამერიკის ელჩი უკანვე იქნება გაწვეული და საქმეების წარმოება ბრიტანიის ელჩს ჩაბარდება.

**ნიცცა.** ამერიკის ესკადრა ვილლა-ფრანკადან გენუაში მოვიდა და აქედან ხვალ ბეირუტს გაემგზავრება.

**სოფია.** მეამბოხეთა რაზმმა, არნაუდოვის მეთაურობით, ადრიანოპოლში დინამიტით ააფეთქა არტილერიის კაზარმა. რამდენიმე კაცი მოკვდა და დაშავდა. ქალაქს გარშემო ბანაკებს ცეცხლი მოედო. დიდი აღიაქოთია.—საგანგებო კომისიამ გამოარკვია კულელ-ბურგასს ახლო მომხდარ აფეთქების საქმე. ჰფიქრობენ, რომ აფეთქება ბუდაპეშტიდან გაგზავნილ ყუმბარით მოახდინესო, რომელსაც საათის მექანიზმი ჰქონდა. მექანიზმი ისე იყო მომართული, რომ ყუმბარა მორიცაზე გადებულ რკინის გზის ხიდზე აფეთქებულიყო, კულელ-ბურგასს ახლო, მაგრამ ყუმბარა უფრო ადრე აფეთქდა. ადრიანოპოლის სამხედრო მთავრობამ ჯარი ბოლგარიის საზღვარზე გაგზავნა. ბევრს სოფელს ცეცხლს უკიდებდენ—მეამბოხეთა რაზმი სპუანით სტამბოლისაკენ გაემართა.

**სტამბოლი.** შეტაკების შესახებ შემდეგი ცნობები მოვიდა აქა: 5 აგვისტოს ტირნოვოსთან ორ ბატალიონს სამის დღის განმავლობაში გარს ერტყენ. რაზმები; ვასილიკოსა და მიდისთან ბრძოლა იყო; კირკ-კილისში მოელიან საზოგადო შენობებისა და საკონსულოს სააგენტოს დინამიტით აფეთქებას. საკონსულოდ ადრიანოპოლში სოხოვა ვალის მფარველობას.—24 ოსმალთაგან, რომელთა დასჯას რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის კონსულები თხოულობდნენ, აქამომდე მხოლოდ ცხრაა ნაჩვენები ქაღალდებში. კირკ-კილისის კომენდანტი ვალი-ფაშა სამის ბატალიონით გამოვიდა მეამბოხეთა საძებნელად.—აქ მოვიდა იაღქნიანი გემი და მოიყვანა ოსმალნი და ბერძენნი, გადარჩენილნი კირკ-კილისის სანჯაყის ნაპირებიდან.

**ვაშინგტონი.** სტამბოლელმა ამერიკის ელჩმა მიჰმართა ოსმალეთის მთავრობას თხოვნით დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიება ხარფუთში მცხოვრებ ამერიკელების დასაცველად.

**კრაგუევაცი.** პეტრე მეფე მოვიდა შვილებით, ოფიცრები რომ მიიღო. ერთმა მათგანმა მეფეს სიტყვით მიჰმართა და სხვათა შორის სთქვა, ოფიცრები თქვენ ხელთა ვართო. მეფემ უპასუხა: „ძალიან ძნელი დრო დაგვიდგა. დიდი ჭკუა, შრომა და სიმხნევეა საჭირო, რომ კეთილად წავიყვანოთ სერბიის სახელმწიფოს ბედის გემი. იქნება სამშობლომ მალე მოგთხოვოთ სამსახური, და იმედი მაქვს, რომ ყოველთვის თვალწინ გექნებათ ერის სარგებლობა“. სადამოზე მეფის პატივსაცემლად მაზხალებით გაიარეს. პროფესორმა მარიანოვიჩმა მეფეს სიტყვით მიჰმართა და სთქვა, დიდებულ ყარა-გიორგის უნდა მიჰბაძოთ და ბალკანეთში თავისუფლების დროშა აafრიალოთ; სერბიის იდეა მხოლოდ ამ გზით განხორციელდებაო. მეფემ უპასუხა: ყველამ ერთად უნდა ვიშრომოთ ერის სასარგებლოდაო; ყველა მოქალაქე განურჩევლად ჩემი საუკეთესო მეგობარია და ყოველი თავის ძალის დაგვარად უნდა იღვწოდეს; მე მიყვარს თავისუფალი მოქალაქებიო. თუ მეფე და ხალხი თანხმობით სცხოვრობენ, ერს დიდი და ბედნიერი მომავალი მოელისო.

**ვენა.** ორის დღის წინად მეამბოხეთა რაზმი სოფ. მოვესკას დაეცა, მონასტირის ვილაიეტში. გარნიზონი შეებრძოლა, მაგრამ იძულებული გახდა, უკან დაეხია. რამდენისამე საათის ბრძოლის შემდეგ მოამბოხეთაგანი ზოგი მოჰკლეს, ზოგი უკუაქციეს, ზოგი ტყვედ წაიყვანეს. მცხოვრებლები სოფლად დაბრუნდნენ, სადაც ჯარია დაბანაკებული.

**სტამბოლი.** უსკიუბის ვილაიეტში ამბოხება სწრაფად ვრცელდება. კაილუს ახლო მეამბოხეები 11 საათს ებრძოდნენ ოსმალთა ჯარს. უსკიუბის ვილაიეტში დიდი აღიაქოთია.

16 აგვისტო

**მოსკოვი.** დღეს მოსკოვის საოლქო სასამართლომ ხელმეორედ დაიწყო კარას საქმეს განხილვა. კარას დედისა და დების მოკვლა ჰბრალდება.

**რიგა.** „რიჟსკი ვესტნიკ“-ის უფროს რედაქტორს ნება მისცეს ყოველდღიური გაზეთი «რიჟსკი გოლოსი» გამოსცეს.

**პორტ-არტური.** ნიაღვრებმა გზა წაახდინეს რკინის გზის ფოსტისა და ტელეგრაფის მოქმედება რამდენისამე დღით შესწყდა.—ინგლისსა და ჩინეთს შუა დადებული სავაჭრო ხელ-შეკრულობა ბოგდიხანმა დაამტკიცა.—იაპონელებმა მდინარე იანცეკიანზე ნავოსნობა გააძლიერეს და კორეაშიც ინგლისის ინტერესებს ზარალს აძლევენ. მოხელეებსა და ხალხს იაპონელები უფრო და უფრო არ მოსწონთ.—გუანჩის პროვინციიდან ცნობა მოვიდა, მეამბოხეთ რამდენიმე ქალაქი ჩაიგდეს ხელშიო. აჯანყება სხვა ოლქებსაც ედება—«ნოვი კრაი» საჭიროდ სცნობს, ჩინეთის გზაზე სავაჭრო სააგენტოები დაარსდეს.

**ათინა.** აქ მყოფმა მაკედონელ ბერძნებმა ბულგარების წინააღმდეგ ქაღალდი დასწერეს და საბერძნეთის მთავრობასა და სახელმწიფოთა წარმომადგენლებს გადასცეს.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** სორმოვის ქარხანაში, სადაც ათი-ათასზე მეტი კაცი მუშაობს, გენერალი ბოგდანოვიჩი რამდენსამე საათს ესაუბრებოდა მუშებს, თავის გამოცემულ წიგნაკებს ურიგებდა და სურათებისა და წიგნაკების შინაარსს უხსნიდა. ერთმა ადგილობრივმა ახალგაზრდა მუშამ მთელ აუდიტორიას ხმა მაღლა წაუკითხა მოსკოველ მუშების ეპისტოლე რუსის ხალხთან, წიგნაკში აღბეჭდილი. მუშის მშვენიერმა მკაფიო კითხვამ მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მუშებზე. ბოგდანოვიჩი ქარხნიდან დიდის თანაგრძნობით გაცილეს.

**ვაშინგტონი.** ამერიკის სტამბოლელი ელჩი ამტკიცებს, ვიცე კონსული ბეირუთში არ მოუკლავთო. პრეზიდენტი რუზველტი მეტად გაახარა იმ ამბავმა, რომ ვიცე-კონსული სიკვდილს გადარჩენია, მაგრამ განკარგულება ესკადრის გაგზავნის შესახებ არ შესცვალა.

**პარიჟი.** ბეირუთის ვალიმ შეატყობინა ამერიკის ვიცე-კონსულს, ის კაცი, რომელმაც თოფი გესროლათ, პასუხის გებაში მიეცემაო. ამავე დროს ვალიმ ოსმალეთის მთავრობის სახელით ბოდიშიც მოიხადა. ვიცე-კონსული არ დაუჭრიათ.

**სტამბოლი.** რუსეთის ელჩი ზინოვიევი და გერმანიის ელჩი მარშალი ბიბერშტეინის შემდეგ ხონთქარმა მიიღო.

**კიევი.** კიევის გზათა უწყების ოლქი დნეპრისა, დნესტრისა და იუჟნი ბუგის კალაპოტების ჩასაღრმავებლად 2,200,000 მანეთს თხოულობს 1904 წლისთვის.

**ტოკიო.** იაპონიის მთავრობა პროექტს ადგენს იმის შესახებ, რომ იაპონიის საკესა და თამბაქოს გადასახადის წესი სულ მთლად შეიცვალოს. ეს ცვლილება სახელმწიფო შემოსავალს 50 მილიონ იენის მოუმატებს და არც ხალხს შეაწუხებს. კანონპროექტს ამის შესახებ პარლამენტის მომავალ სესიას წარუდგენენ. მომატებული შემოსავალი გადასახადების დაკლებასა და საზოგადო სამუშაოს მოხმარდება.

**სტამბოლი.** უსკიუბიდან ამბავი მოვიდა, უკანასკნელ დღეებში სუმინს ახლო და უსკიუბის სამხრეთ დასავლეთით პარპინოს ახლო შეტაკება მოხდაო. აჯანყებულნი მთაში გაიქცნენ, უსკიუბის დასავლეთითაც გაჩნდნენ ბოლგართ რაზმები; რაზმებმა მოჰკლეს მაჰმადიანი და სამი ჟანდარმი.

**ლონდონი.** აქ მაკედონიის კომიტეტის პროექტი გამოაცხადეს. პროექტი თხოულობს მაკედონიაში ევროპიული მმართველობა დაწესდეს, ამ მმართველობაში ადგილობრივ ხალხის წარმომადგენლებიც მონაწილეობას იღებდნენ და მაკედონია საერთაშორისო ჯარის რაზმმა დაიჭიროსო.

**პეტერბურგი.** 16 აგვისტოს, ბალტიის ქარხანაში ხელმწიფე იმპერატორის თანდასწრებით იმპერატორის იახტა «ალექსანდრია“ და ჯავშნიანი გემი „სლავა“ ზღვაში ჩაუშვეს. შემდეგ მათ უდიდებულესობათ და მათ უმაღლესობათ კრეისერი „ალმაზი დაათვალიერეს.

17 აგვისტო.

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრი სტატს სეკრეტარი ვიტე უმაღლესის რესკრიპტით მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა; სახელმწიფო ბანკის მმართველი პლესკე ფინანსთა სამინისტროს მმართველად დაინიშნა.

**ლონდონი.** აქ გამოცხადდა რეფორმების პროექტი, რომელიც მაკედონელთა კომიტეტს სულთანისა და ევროპის სახელმწიფოთათვის წარუდგენია; კომიტეტები თხოულობენ, მაკედონიაში ევროპიული მმართველობა იქმნეს შემოღებული ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლების მონაწილეობით: მაკედონიაც ევროპის სახელმწიფო ჯარებმა დაიჭიროსო,

**რომი.** პაპმა რუსეთის მინისტრ-პრეზიდენტი მიიღო და რეზიდენტმა რწმუნების ქაღალდები ჩააბარა.

**სტამბოლი.** უსკიუბის მხარეს რვა რაზმი გაჰგზავნეს.

რუსეთის ესკადრას წასვლის შემდეგ, როგორც ამბობენ, ინიადაში მაიაკი ააფეთქებათ და დარაჯის სახლი დაუწვავთ.

ომერ-რუდში-ფაშის ადგილას ნასირ-ფაშა დაინიშნა.

**ბელგრადი.** კუმანოვასთან ოსმალეთის ჯარმა აჯანყებულნი დაამარცხა. სოფლები მოლშინა და სოპუტ ოსმალეთის ჯარებმა აიღეს, რადგან იქ აჯანყებულთ რაზმების მეთაურები იყვნენ შეფარებულნი.

**სტამბოლი.** აღმოსავლეთ რკინის გზების სამმართველო გადაჭრით უარჰყოფს, ვითომ ამ გზებზე მიმოსვლა შეწყვეტილია ან ამის განზრახვა აქვთო.

**ვაშინგტონი.** სტამბოლიდან ამერიკის ელჩი იტყობინება: კონსულების ცნობებით ხარპუტსა და ბეირუთში სჯამის მდგომარეობა უკეთესიაო.

**მარიენბადი.** საბერძნეთის მეფე კოპენჰაგენს წავიდა.

**სოფია.** აჯანყებულებმა ოსმალთა დარაჯების ბინები აიღეს იამბოლის ახლო, შავი ზღვის პირად, ბოლგარიის მხარეს. ორ ბატალიონს გზავნიან იქით ადგილების გასამაგრებლად.

18 აგვისტო.

**პეტერბურგი.** დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს სისხლი აუვარდა თავში და ტანის მარცხენა მხარეს სიდამბლის ნიშნები დააჩნდა. 17 აგვისტოს ღამე მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ კარგად გაატარა. ნორმალური მდგომარეობა არ დარღვეულა. გრძნობიერობა სრულიად კარგი აქვს, გული ჯეროვანად

მოქმედებს, მაჯა 64, რიგზეა, ტემპერატურა—16 აგვისტოს საღამოს—37, დილით 17 აგვისტოს—36,7. 17 აგვისტოს დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სასახლეში, მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა და ელლინთა დედოფლის თანადასწრებით, სასახლის სამღვდელოებამ ნათელ-სცა ახლად დაბადებულ მთავრინას ქსენია გიორგის ასულს. ემბაზთან იდგნენ ელლინთა დედოფალი და ხელმწიფე მემკვიდრე, რომელთ გარდა; მიმრქმელად იყვნენ ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და დიდი მთავრინები ქსენია ალექსანდრეს ასული და ელენა ვლადიმერის ასული და პრინცესა ვიქტორია ინგლისისა. მიმრქმელად იყვნენ აგრეთვე დიდი მთავრები მიხეილ ნიკოლოოზის ძე, ალექსი ალექსანდრეს ძე, სერგი მიხეილის ძე და საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე კონსტანტინე.

„მართებლობის უწყებაში“ დაბეჭდილია, რომ 17 აგვისტოს ნიკოლაევის რკინის გზაზე სამგზავრო მატარებელი, პეტერბურგიდგან მიმავალი, საქონლისავე მატარებელს დაეჯახა. 7 მგზავრი დაშავდა, მემანქანე მოკლულია, მისი თანაშემწე დაშავებულია.

**სტამბოლი** ბეირუტში მყოფ ამერიკის ვიცე-კონსულის მოკვლის გამზრახველნი შეიპყრეს და სამართალში მისცეს.—ოფიციალურად იუწყებიან შემდეგს: „რადგან ზოგიერთებმა დაივიწყეს გრძნობა კაცთმოყვარეობისა და ამ უკანასკნელ ხანებში რკინის გზებზედ მოგზაურთა და სხვებთა მიმართ ბოროტ-მოქმედობენ ნალმის წყალობით, საიმპერატორო ირადემ, რათა პოლიციელთ შეუმსუბუქოს საქმე, აღკრძალა შუშხუნების აშვება ხონთქრის ტახტზედ ასვლის წლის თავზედ“. ირადე მიუწერს, რომ შუშხუნებისათვის გადადებული ფული გადაეცეს განსაკუთრებულ კომისიას, რომლის მოვალეობაც იქნება შემწეობა აღმოუჩინოს აღმოსავლეთის რკინის გზებზედ დაშავებულთ და მათ ოჯახთ.

**ბელგრადი.** შესდგა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 8,000 კაცი. მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომლითაც კრება აცხადებს,—სერბიას არა ჰსურს, რომ ევროპის აღმოსავლეთში საქმეები გაემწვავოს, მაგრამ არ შეუძლიან ამასთანავე გულ-გრილად უცქიროს ძველის სერბიისა და მაკედონელ სლავიანთა უნუგეშო და საფრთხო მდგომარეობას, და ამის გამო ჰფიქრობს, რომ წესიერების აღდგენა მაკედონიაში შესაძლებელი იქნებოდა, თუ მიანდობდნენ იმ სახელმწიფოებს, რომელნიც ბალკანეთის ნახევარკუნძულის საქმეებში დაინტერესებულნი არიან, რათა ხელ უხლებლად დაიცვან სულთანის უმაღლესი უფლება მაკედონიაში და ამასთანავე თვალსაჩინო და წინადვე განსაზღვრული მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში. განსაკუთრებულს კომისიას მინდობილი აქვს იზრუნოს აღნიშნულ რეზოლიუცის განხორციელებისათვის. მიტინგზე წაკითხულ იქმნა დეპეშა ვარსიდგან, რომ მონასტერი პროხორე-პსინსკისა სერბიის საზღვარზე ოსმალ-არანაუტებს დაუნგრევიათ. ამ საქმეში უფრო ნიზამის ჯარის კაცები მოქმედობდნენ. ოფიციალური ცნობა ჯერ არ არის, მიტინგის შემდეგ რავდენიმე მოზარდი ყმაწვილი სცდილობდა ოსმალეთის წინ მძულვარების დემონსტრაცია მოეხდინა, მშვიდმა ხალხმა ხელი შეუშალა.

**ბუდაპეშტი.** მოვიდა მთავარი ფერდინანდი და სოფიას გაემგზავრა.

**აფინა,** დააპატიმრეს ხუთი ბოლგარელი, რომლებიც ორ კასრს დინამიტსა ჰგზავნიდა დედე-აგაჩს.

**პარიჟი.** ლუბე მივა რომს თებერვლის ბოლოს 1904 წ. პაპა პრეზიდენტს მიიღებს. აქაურმა ბულგარიის ელჩმა განაცხადა, რომ ვენაში გავრცელებული ხმები, ვითომც მთავარი ფერდინანდი გაიქცა და ვითომც მისი მოკვლა უნდოდათ, ტყუილიაო. თუმცა მთავარი ცუდს გარემოებაშია, მაგრამ მაინც მოახერხებს საქმის მოწყობას, რომ არ მოუხდეს შეტაკება არც ოსმალეთთან და არც ოპოზიციასთან.

**სტამბოლი.** ოსმალეთის მთავრობამ განაცხადა,—ამბოხებას რამდენისამე დღის შემდეგ ჩავაქრობთო. იბრაჰიმ-ფაშა მოქმედ მხედრობის მთავარ-სარდლად დაინიშნა.—საგანგებო სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა ორ ბულგარს მონასტერში.—ოსმალთა და ბერძენთაგან შემდგარი კომისია მონასტირიდგან მიდამოების დასავლელად გაემგზავრა, რათა დაარწმუნოს აყრილნი მცხოვრებნი, რომ შინ დაბრუნდნენ.—ოსმალეთის ჯარმა მეამბოხეთა შურის საძიებლად გაანადგურეს რამდენიმე სოფელი რეზნისა, პრესტისა და ოხრიდის ოლქებში; სამაგიეროდ მეამბოხეებმა გაანადგურეს ოსმალთა აგარაკები. პორტამ იდუმალი ცნობა მიიღო,—ამას წინად ჯარების გათადარიგების დროს ბულგარიის მთავრობამ ფარულად გააძლიერა მესაზღვრე ჯარებიო,—5 ქვეითა პოლკი მიუმატა და სამი ცხენოსანიო.—გუბერნატორ შემსი-ფაშასაგან მიღებულ მკაცრ ღონისძიებათა გამო ალბანელ რედიფთა შორის დისციპლინა აღდგენილ იქმნა.—ბეირუტში მყოფი ამერიკელი ვიცე-კონსული არამც თუ არ მოუკლავთ, მოკვლის განზრახვაც არავის ჰქონია. როდესაც ვიცე-კონსული ეტლით შინისაკენ მიდიოდა, ქორწილიდგან მომავალ 5—6 კაცთა შორის ერთმა მაღლა ისროლა თოფი, ადგილობრივ, ჩვეულებისამებრ. ვიცე-კონსულს ეგონა,—მე მესროლეს ტყვიაო. ის კაცები დააპატიმრეს და სამართალში მისცეს.

**პეტერბურგის ბირჟა** აგვისტო 12

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,65 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,92½ |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,27½ |
| ლონდონში ჩეკები | 94,35 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | — |
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 99½ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 100½ გაყ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა | 95 1/8 მყიდ. |
| % 1-ლ შინგ. სესხის მოგებ. ბილ. 1864 წ. | 445 გაყ. |
| 5% მეორე შინაგ სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ. | 338 3/8 წვ. გაყიდ |
| 5% გირავნ. მოგ ფურც. სახლმ. სადგ.-მამ. ბანკისა | 290¾ გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | 94¾ |
| 4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა | — |
| 4% ტფილ. სადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 92½ გაყ. |
| ½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. სად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 91 7/8 წვ.-გაყ. |
| პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 9226 |
| ქციები „ „ „ | — |
| „კასპიის ამხანაგობისა. „ ბაქოს ნავთის საზოგად. | 380½ წვ. გაყ. |
| „ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 188½ წვ. გაყ. |

## გამოსადეგი ცნობები.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.
(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, ხუთშაბათობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ. თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსში—4 მან., უვადოში—3 მან.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი 1½-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

### ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

| | |
|---|---|
| 1 ხარისხისა გირვანქა | 11 კ. |
| 2 „ | 8 კ. |
| 3 „ | 6 კ. |
| სუკი „ | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | 10 კ. |
| კამეჩისა | 7 კ. |
| ღორისა | |
| 1 ხარისხის (საკატლეტე) | 11 კ. |
| 2 „ (ბარძაყი) | 10 კ. |
| 3 „ (დანარჩენი ნაწილი, ტყავებული) | 8 კ. |

ნიხრი პურისა.

თორნეში გამომცხვარი

| | |
|---|---|
| 1 ხარისხისა | 5 კ. |
| 2 „ | 3½ |
| 3 „ | 3 კ. |

### მიმოსვლა ეტლებისა კავკასიის გზით.

**კარეტა** ვადიანი გადის ტფილისიდგან კავკავს 7-სა და 8 საათზედ დილით, ღამე ჩერდება მლეთში და კავკავს მიდის საღამოს 7 საათზე.

გარდასახადი:

| | |
|---|---|
| 1 კლასით | 15 მან. |
| 2 „ | 10 „ |
| 3 „ | 5 „ |

**ლინეიკა** გადის ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზე, ღამე არსადა ჩერდება.

გარდასახადი:

| | |
|---|---|
| 1 ადგილისა | 6 მ. 80 კ. |
| 2 „ | 4 „ 80 „ |

### ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 2 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

### კავკასიის მუზეუმი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

### საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება. შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

### ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა ქ. ტფილისში.

| | |
|---|---|
| საათობით | 60 კ. |
| ერთგზობით | 30 „ |
| ქალაქიდგან ავლაბარში | 40 „ |
| ნავთლუღში | 50 „ |
| ავლაბრიდგან ნავთლუღს | 30 „ |
| ნათლუღიდგან ქალაქს | 40 „ |
| ალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე | 50 „ |
| იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება | 80 „ |
| ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს | 40 |
| იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება | 1 მ. |
| ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე | 80 კ. |
| კრწანისის ბაღამდე | 80 „ |
| ნათლუღიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე | 80 „ |
| რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს | 60 „ |
| იქიდამ ნათლუღამდე | 1—20 |

უკეთუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ელ საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის ფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.




მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში —საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6—15)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

ჰიგიენური

ბორნო-ტიმოლის საპონი

პროფესორის

გ. ფ. იურგენსისა.

აქრობს ჭორფლს, ნასიცხ—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი, ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კ., ნახევარ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო საათფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში. უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. (40—6—17)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

## ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომოურისა ფასი 5 კაპ.

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.



რ ო ი ა ლ ე ბ ი პ ი ა ნ ი ნ ო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



შეეძლება ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პ რ ე ი ს კ უ რ ა ნ ტ ე ბ ი

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საგრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

Б. М. МИРИМАНІАНА

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—24)

## საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ



მის იმპერა-ტორ. უდიდებულესობ. კარის ვაჭარი



Pasta Eugènie სალხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისგან აღანძულებს, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრეთვე სიახლეს და სილამაზეს აძლევს სახეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-Eugènie თეთრი, ვარდის ფერიდა რაშელი, მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაქიზესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ღაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Flizir-Mélange წყალივით სახმარია თმის ასაზრდელად და თავში ქერტლის გასაწმენდად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. სინაზეს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს, აქრობს მზისგან აღანძულობას, ჭორფლს და კანის უღველსავე ძიძიბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი (თმის საცხებელი პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

საღებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკის ფერი, შატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო ფერს და არც ჟიგრის ფერს. ფასი 3 მ.

უნგრული ესენცია ულვაშებისათვის (რის-გუტმანი) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათს მსწრაფელ ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რის-გუტმანისა) აქრობს ბებერებს და მეჭეჭებს, ძირიან-ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში. საათფ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ საათფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст.“-იდან, № 233 1901 წ. (80—27)


Дозволено цензурою, Тифлисъ, 18 августа 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით რედაქტორი ზ. ჭიჭინაძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.